ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 32
(საქონლის შესყიდვა)

ქ. ბოლნისი

20.12.2016 წელი

ერთისმხრივ(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაავადებათა აღრიცხვის, კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრის"(შემდგომში "შემსყიდველი") დირექტორის მაკა მამარდაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „პსპ - ფარმა" დირექტორი გოჩა გოგილაშვილი(შემდგომში "მიმწოდებელი"), სახით საქართველოს კანონისმე-3 მუხლის 1 პუნქტის" ს' ქვეპუნქტის შესაბამისად(გამარტივებულიშესყიდვა), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ა) „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიცხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
ბ). „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
გ). „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
დ). „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
ე). „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
ვ) CPV კოდი" - კლასიფიკატორის კოდი (საქონლის კოდი).

2. ხელშეკრულების საგანი და საერთო ღირებულება.

ა) ხელშეკრულების საგანია საქონლის შეკვეთით შესყიდვა.
ბ) შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა და ღირებულება მოცემულია დანართი N 1 - ში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი და შემადგენელი ნაწილია.

დანართი N 1

N	ძირითადი CPV კოდი	Cpvკოდი	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულისფასი	მთლიანი ფასი
1	33600000 ფარმაცევტული პროდუქტი	33691200 ჭიების საწინააღმდეგო (ანტიჰელმინთური) საშუალებები	ალბეზი ALBEZI 200 მგ	300 აბი	0,86	258.00 ლარი
		სულ:				258.00 ლარი

ბ) შესყიდვის ობიექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 258.00 (ორას ორმოცდათვრამეტი) ლარს.

გ) ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვა - მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

შემსყიდველი: _____

მიმწოდებელი: _____

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

ა) შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად.

ბ) საქონლის ვარგისიანობის ვადა განისაზღვრება საქონლის მიწოდების დღიდან არანაკლებ ერთი წლის ვადით.

გ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ბოლნისის სააკაძის ქუჩა N 45

დ) შესყიდვის მიწოდების ვადა განისაზღვრება 20,12,2016 წლიდან 22,12,2016 წლის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

ა)შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდების და მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

ა) მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში) ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. (ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან).

ბ)ანგარიშსწორების განსახორციელებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ბ.1მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი;

ბ.2სასაქონლო ზედნადები

გ)შემსყიდველი მიმწოდებლისათვის საქონლის ღირებულების ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისი დოკუმენტაციის (სასაქანლო ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი) წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, გადარიცხვის ფორმით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში;

ბ) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი (ინსპექტირება);

გ) მიიღოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

დ) უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა)უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებახელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გადასცეს შემსყიდველს უნაკლო საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია,წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურებახელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

ა)ხელშეკრულებისშესრულების პირობებთან შესაბამისობაზე ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის: ა(ა)ი პ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაავადებათა აღრიცხვის, კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრის"დირექტორი მაკა მამარდაშვილი.

შემსყიდველი: _____ მიმწოდებელი:_____

ბ) შესაბამისი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღის ვადაში მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოხვრას.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

ა) მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არაჯეროვნად შესრულება ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) მხარესშეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ანარაჯეროვანიშესრულებითმისთვისმიყენებულიზიანისანაზღაურება.

გ) მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მათ მიერ ზიანისანაზღაურება არ ათავისუფლებს მათ ხელშეკრულებითგათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

ა)მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, ეპიდემია, კარანტინი და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, სახელმწიფო გადატრიალება და ა. შ. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

ბ) თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

გ) ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

დ) წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ა) ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებებისშედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობებიშემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლითგათვალისწინებული შემთხვევებისა.

ბ) ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდწერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითიშეთანხმებისსახით,
რომელსაცექნებაიგივეიურიდიულიძალარაცწინამდებარეხელშეკრულებას.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

ა) ხელშეკრულება ძალაშია და მოქმედებს 20,12,2016 წლიდან 23,01,2017 წლის ჩათვლით.

ბ) მხარეს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მეორე მხარის მიერ წერილობითი ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, თუ ირღვევა ხელშეკრულებაში მითითებული პირობები.

12. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, მოლაპარაკების დაწყებიდან 15(თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

შემსყიდველი: _____ მიმწოდებელი: _____

წინააღმდეგ შემთხვევაში მხარე კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართავს სასამართლოს. სარჩელის შეტანის ადგილად განისაზღვრება ხელშეკრულების დადების ადგილი.

13. სხვა პირობები

ა) მხარეთა შორის ურთიერთობა არსებული ხელშეკრულებით დასრულებულად ჩაითვლება ურთიერთვალდებულებების შესრულებისა და ანგარიშგების მოწესრიგების შემდეგ, რასაც მხარეები დაადასტურებენ მიღება - ჩაბარების აქტით, მანამდე მოთხოვნა მხარის მიმართ რჩება ნებისმიერი ასეთი დაუფარავი ვალდებულების ფარგლებში.

ბ) არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

გ) მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

დ) ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

ე) წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის, პუნქტის ძალდაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანარჩენიმუხლების და პუნქტებისნამდვილობაზე.

ვ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

ზ) მისამართის ან რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

თ)საკითხები,რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების ხელმოწერები, ბეჭედი

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა.ა.ი.პ.,ბოლნისისმუნიციპალიტეტისდაავადებათააღრიცხვის, კონტროლის, საზოგადოებრივივჯანდაცვისადა პრევენციულიმედიცინისცენტრი"	შპს „პსპ ფარმა"
ქ. ბოლნისი. სააკაძის ქ. №45	ქ. თბილისი აღმაშენებლის ქ. N 148/3
ტელ: 599- 85-97-37.	ს/კ 202203123
ს/კ 225396247	ბანკი რესპუბლიკა REPLGE22
ფინანსთა სამინისტროს სახელწიფო ხაზინა	GE72BR0000010335609180
TPFSGE22	
ს/ა GE48TB7345927520	
დირექტორი: /ქ. ზამარდაშვილი/	დირექტორი: /გ. გოგილაშვილი/

ს/კ 225396247

202203123
"PSP-Pharma"
GEORGIA